



## ეკონომიკა

**ხელფასები:** საქსტატის მიხედვით, 2024 წლის მე-3 კვარტალში საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი წლიურად 10.9%-ით გაიზარდა და 2,057 ლარი შეადგინა, წინა კვარტალში დაფიქსირებული წლიური 11.1%-იანი ზრდის შემდეგ. ამასთან, აღნიშნულ პერიოდში, რეალური ხელფასი 9.6%-ით გაიზარდა.

სექტორების მიხედვით, 2024 წლის მე-3 კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: ინფორმაცია და კომუნიკაცია (3,977 ლარი, +0.5% წ/წ), მშენებლობა (3,198 ლარი, +5.4% წ/წ), ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობა (3,187 ლარი, +13.5% წ/წ) და პროფესიული და სამეცნიერო საქმიანობები (3,063 ლარი, +17.1% წ/წ). ამასთან, აღნიშნულ პერიოდში ყველაზე დაბალი საშუალო თვიური ხელფასი ფიქსირდება განათლების (1,255 ლარი, +20.9% წ/წ), ნყალმომარაგების (1,284 ლარი, +11.7% წ/წ) და სოფლის მეურნეობის (1,437 ლარი, +16.5% წ/წ) დარგებში.

**მონეტარული პოლიტიკა:** სებ-ის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2024 წლის 18 დეკემბერს რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად 8.0%-ზე დატოვა. აღნიშნულ გადაწყვეტილებაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ეკონომიკური პერსპექტივის მაღალმა გაურკვევლობამ. სებ-ი აღნიშნავს, რომ როგორც შიდა საყურადღებო ფაქტორებმა, ასევე რეგიონში არსებულმა გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ შესაძლოა ინფლაციური ზეწოლა წარმოქმნას. დამატებით, სებ-ის მიხედვით, საყურადღებო ხდება საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სურსათის ფასების მერყეობის ზრდა. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2025 წლის 29 იანვარს ჩატარდება.

**ფულადი გზავნილები:** სებ-ის მიხედვით, 2024 წლის ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 9.6%-ით შემცირდა 266.7 მლნ აშშ დოლარამდე, წინა თვეში დაფიქსირებული წლიური 1.5%-იანი კლების შემდეგ. ძირითადი დონორი ქვეყნებიდან ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი წლიური ზრდა დაფიქსირდა ევროკავშირიდან (+8.2%, მთლიანის 45.9%), აშშ-დან (+21.6%, მთლიანის 18.8%) და ისრაელიდან (+15.3%, მთლიანის 8.0%). ამასთან, ფულადი გზავნილები წლიურად შემცირდა რუსეთიდან (-60.6%, მთლიანის 11.2%) და ყაზახეთიდან (-56.0%, მთლიანის 3.0%). ჯამურად, 2024 წლის იანვარ-ნოემბერში ფულადი გზავნილები წლიურად 19.8%-ით შემცირდა და 3.1 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ჩვენი პროგნოზით, ფულადი გზავნილები 3.4 მლრდ აშშ დოლარის დონეზეა მოსალოდნელი 2024 წელს (4.1 მლრდ აშშ დოლარი იყო 2023 წელს).


**მწარმოებელთა ფასების ინდექსი:** საქსტატის მონაცემებით, მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიურად 6.6%-ით გაიზარდა 2024 წლის ნოემბერში, წინა თვეში არსებული 6.8%-იანი ზრდის შემდეგ. მწარმოებელთა ფასების წლიურ ზრდაზე ძირითადი ზეგავლენა იქონია ფასების ზრდამ დამამუშავებელი მრეწველობის (+4.7%), სამთომომპოვებითი მრეწველობის (+23.7%) და ელექტროენერჯის მიწოდების (+10.8%) სექტორებში.

## ეკონომიკური ინდიკატორები

	2023	2024F
რეალური მშპ-ს ზრდა	7.8%	9.7%
მშპ ერთ სულზე (ppp)	25,188	28,059
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	8,284	9,108
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7
ინფლაცია (საშუალო)	2.5%	1.1%
საერთ. რეზერვები (მლრდ აშშ \$)	5.0	4.6
მიმდ. ანგარ. დეფიციტი (მშპ-ს %)	5.6%	4.9%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.4%	2.5%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	38.9%	36.8%
Fitch/S&P/Moody's*	BB/BB/Ba2	


წყარო: ოფიციალური მონაცემები, სარეიტინგო სააგენტოები, გალტი & თაგარტი  
\*უახლესი საკრედიტო რეიტინგები

## საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი



წყარო: საქსტატი

## მწარმოებელთა ფასების ინდექსი წლიური %-ლი ცვლილება



წყარო: საქსტატი



## ფულადი ბაზარი

### საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო

**ობლიგაციები:** საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2024 წლის 17 დეკემბერს 6.6-წლიანი 75 მლნ ლარის (26.6 მლნ აშშ დოლარის) ბენჩმარკ ობლიგაციები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 2.0-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.1833პ-ით გაიზარდა და 8.584% შეადგინა.


უახლესი აუქციონი დაგეგმილია 2024 წლის 24 დეკემბერს, სადაც 5-წლიანი 100 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები გაიყიდება.

### სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2024 წელი

ვალიანობა	გამომწვება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომწვება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება მლნ ლარი*
1 წლამდე	530	0	360
1 წელზე მეტი	2,952	100	9,088
<b>-სულ</b>	<b>3,482</b>	<b>100</b>	<b>9,448</b>


წყარო: ფინანსთა სამინისტრო  
\* 2024 წლის ნოემბრის მდგომარეობით

### სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




წყარო: სებ

### განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი




წყარო: სებ

### მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი



წყარო: სებ, საქსტატი

### ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სებ  
შენიშვნა: ინდექსის ზრდა/კლება ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას/გაუფასურებას



## ობლიგაციები

### ქართული ევროობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GEORG 04/26	USD	500	2.750%	Apr-21	Apr-26	BB/BB/Ba2	94.26	7.37	319.02
GRAIL 06/28	USD	500	4.000%	Jun-21	Jun-28	BB-/BB-/	87.91	8.05	398.65
GEBGG 9 1/2 PERP	USD	300	9.500%	Apr-24	n/a	B-/-/B2	98.10	10.03	598.30
SILKNET 01/27	USD	300	8.375%	Jan-22	Jan-27	BB-/-/B1	100.68	8.01	347.66
TBC 8.894 PERP	USD	75	8.894%	Nov-21	n/a	B-/-/	95.70	11.23	710.13
TBC 10 1/4 PERP	USD	300	10.250%	Apr-24	n/a	-/-/B2	99.29	10.45	640.27
CGEOLN 07/29	USD	300	8.875%	Jul-24	Jul-29	BB-/BB-/	100.74	8.67	456.26

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე  
წყარო: Bloomberg

### ქართული ადგილობრივი ობლიგაციები

გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
<b>USD</b>								
Bakhvi Hydro Power	USD	1.2	9.40%	Nov-17	Nov-27	-/-/-	n/a	n/a
Lisi Lake Development	USD	12	6.50%	Dec-21	Dec-24	-/-/-/B+	n/a	6.75%
Geo. Renewable Power Oper.	USD	80	7.00%	Oct-22	Oct-27	-/-/-	100.00	7.00%
Lisi Lake Development	USD	10	8.50%	Dec-22	Dec-24	-/-/-/B+	99.99	8.50%
Geosteel	USD	15	9.00%	Apr-23	Apr-25	-/-/-	99.99	9.00%
Silk Real Estate	USD	20	9.00%	Apr-23	Apr-26	-/-/-	99.99	9.00%
Tegeta Motors	USD	20	8.50%	Apr-23	Apr-25	-/-/-/BB-	99.77	8.75%
Energy Development Georgia	USD	10	8.50%	Jun-23	Jun-25	-/-/-	n/a	n/a
Georgia Capital	USD	150	8.50%	Aug-23	Aug-28	-/BB-/	101.08	8.13%
Silk Real Estate	USD	20	9.25%	Sep-23	Sep-26	-/-/-	100.91	8.63%
Prime Concrete	USD	7.5	10.50%	Sep-23	Sep-27	-/-/-	n/a	n/a
Austrian-Georgian Development	USD	15	9.00%	Oct-23	Oct-25	-/-/-	n/a	n/a
MFO EuroCredit	USD	10	9.50%	Dec-23	Dec-27	-/-/-	n/a	n/a
Geosteel	USD	5	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.63	8.75%
IG Development	USD	20	8.50%	Dec-23	Dec-25	-/-/-	99.61	8.75%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	3.3	8.50%	Jun-24	Jun-26	-/-/-/BB-	n/a	8.63%
IG Development	USD	19.5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.63%
Tegeta Motors	USD	5	8.50%	Jul-24	Jul-26	-/-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	USD	5	8.75%	Jul-24	Jul-26	-/-/-	n/a	8.75%
JSC BasisBank	USD	20	7.00%	Aug-24	Aug-27	-/-/-	n/a	7.00%
Georgia Real Estate	USD	25	8.50%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.50%
Chavchavadze 64B	USD	10	8.75%	Aug-24	Aug-26	-/-/-	n/a	8.75%

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე  
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი



## ობლიგაციები

### ქართული ადგილობრივი ობლიგაციები


გამომშვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ	კუპონი	გამომშვების თარიღი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %
<b>EUR</b>								
Tegeta Motors	EUR	5	7.00%	Apr-23	Apr-25	-/-/BB-	99.77	7.25%
Tegeta Motors	EUR	4	7.00%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	99.63	7.25%
Tegeta Motors	EUR	7	6.75%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	100.37	6.15%
IG Development	EUR	5	7.00%	Jan-24	Jan-26	-/-/BB-	99.60	6.15%
Tegeta Motors	EUR	10	6.75%	May-24	May-26	-/-/BB-	n/a	n/a
MP Development	EUR	3	7.75%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	7.75%
Silk Real Estate	EUR	7	7.00%	Aug-24	Aug-25	-/-/BB-	n/a	7.00%
Chavchavadze 64B	EUR	3	7.75%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	n/a	7.75%
<b>GEL</b>								
Nikora	GEL	35	TIBR3M + 3.50%	Nov-22	Nov-25	-/-/BB-	100.00	11.58%
MFO MBC	GEL	15	TIBR3M + 4.50%	Dec-22	Dec-24	-/-/BB-	100.00	12.83%
Tegeta Motors	GEL	150	TIBR3M + 3.50%	Dec-22	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
MFO Crystal	GEL	25	TIBR6M + 4.75%	Dec-22	Feb-25	B-/-/BB-	100.00	13.22%
MFO Rico Express	GEL	130	TIBR1D + 2.00%	Mar-23	Mar-26	-/-/BB+	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	100	TIBR3M + 3.00%	Mar-23	Mar-26	BB-/-/BB-	n/a	n/a
TBC Leasing	GEL	15	TIBR3M + 2.75%	Jun-23	Jun-26	BB-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	TIBR6M + 3.50%	Jun-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	20	14.5%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	n/a	n/a
Cellfie	GEL	65	TIBR6M + 3.50%	Dec-23	Dec-25	-/-/BB-	100.00	12.33%
Tegeta Motors	GEL	10	13.50%	Jul-24	Jul-26	-/-/BB-	n/a	n/a
Tegeta Motors	GEL	15	13.50%	Aug-24	Aug-26	-/-/BB-	100.00	13.50%
Nikora Trade	GEL	60	TIBR3M + 3.25%	Oct-24	Oct-29	-/-/BB-	n/a	n/a

გალტ & თაგარტი როგორც წამყვანი მენეჯერი და/ან მონაწილე  
წყარო: Bloomberg, გალტ & თაგარტი




## ობლიგაციები

ევროობლიგაციები (შემოსავლიანობა)




წყარო: Bloomberg

ადგილობრივი კორპორატიული საჯარო  
ობლიგაციების ნაშთი, მლნ ლარი



წყარო: გალტი & ტაგარტი

ადგილობრივი კორპორატიული საჯარო  
ობლიგაციების ნაშთი სექტორების მიხედვით




წყარო: გალტი & ტაგარტი



## აქციები

### საქართველოს ბანკის ჯგუფი (BGEO LN)




წყარო: Bloomberg

### საქართველოს ბანკის ჯგუფის

(BGEO LN) აქციები დაიხურა 46.80 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), +2.18% წინა კვირასთან შედარებით და -3.90% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 433 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 45.70 - 48.15 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 89 ათასი აქცია შეადგინა.

### თიბისი ბანკის ჯგუფი (TBCG LN)




წყარო: Bloomberg

### თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN)

აქციები დაიხურა 30.95 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -0.16% წინა კვირასთან შედარებით და -2.83% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 484 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 30.05 - 31.65 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 87 ათასი აქცია შეადგინა.

### საქართველოს კაპიტალი (CGEO LN)



წყარო: Bloomberg

### Georgia Capital-ის (CGEO LN)

აქციები დაიხურა 11.32 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -2.08% წინა კვირასთან შედარებით და -0.88% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 433 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 11.24 - 11.94 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 113 ათასი აქცია შეადგინა.



## აქციები

### აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზაცია	რ. თვე, %	წ/წ ცვლ. %	წლის დას. %	P/E			P/B		
								2023	2024F	2025F	2023	2024F	2025F
Bank of Georgia	BGEO	GBP	46.80	2,080	17.1%	22.0%	17.7%	4.36x	4.16x	3.66x	1.19x	na	na
TBC	TBC	GBP	30.95	1,743	24.0%	8.0%	9.4%	4.78x	4.94x	4.17x	1.15x	na	na
Halyk Bank	HSBK	USD	18.22	4,967	5.7%	27.4%	20.2%	2.57x	2.98x	2.93x	0.72x	na	na
Akbank	AKBNK	TRY	60.70	315,640	-4.9%	52.0%	66.2%	2.86x	6.56x	3.62x	0.90x	1.33x	1.01x
Garanti	GARAN	TRY	125.40	526,680	13.2%	100.6%	114.9%	2.84x	5.41x	3.87x	1.00x	1.59x	1.15x
Isbank	ISCTR	TRY	13.15	328,750	-21.3%	36.5%	40.7%	3.23x	6.19x	3.26x	0.87x	1.11x	0.84x
PKO	PKO	PLN	59.64	74,550	-2.7%	18.2%	18.5%	11.44x	6.82x	6.74x	1.39x	1.48x	1.37x
PEKAO	PEO	PLN	138.70	36,405	-14.9%	-7.2%	-8.8%	6.07x	5.60x	5.93x	1.32x	1.12x	1.07x
Millennium	MIL	PLN	8.54	10,360	2.0%	-0.1%	2.2%	17.78x	3.71x	4.24x	1.47x	1.33x	1.15x
Mbank	MBK	PLN	546.80	23,237	-10.7%	0.1%	2.2%	na	9.98x	5.84x	1.65x	1.47x	1.18x
BRD	BRD	RON	18.90	13,171	-5.4%	5.2%	5.5%	7.62x	9.16x	9.30x	1.42x	1.38x	1.28x
Banca Transilvania	TLV	RON	26.40	24,206	-5.1%	24.3%	24.9%	7.76x	5.92x	6.80x	1.82x	1.48x	1.42x
Komercni	KOMB	CZK	848.00	161,162	9.5%	20.0%	17.0%	8.76x	10.26x	10.41x	1.09x	1.28x	1.29x
<b>Mean</b>								<b>6.67x</b>	<b>6.28x</b>	<b>5.44x</b>	<b>1.23x</b>	<b>1.36x</b>	<b>1.18x</b>
<b>Median</b>								<b>5.43x</b>	<b>5.92x</b>	<b>4.24x</b>	<b>1.19x</b>	<b>1.35x</b>	<b>1.17x</b>

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



## მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტიდან მოეთხოვებათ დაიცვათ ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიანიჭათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უზუსტობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უზუსტოა რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად არცენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქალაქის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვიზუალის და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვიზუალისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

**გალტ & თაგარტი**  
**მისამართი:** პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო  
**ტელ:** + (995) 32 2401 111

**კვლევები:** research@gt.ge  
**ტელ:** +995 32 2401 111 (4298)  
**საბროკერი:** sales@gt.ge  
**ტელ:** +995 32 2401 111 (4132)  
**საინვესტიციო-საბანკო მიმართულება:** ib@gt.ge  
**ტელ:** +995 32 2401 111 (7457)